

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	8
2. მომზადების საფუძველი.....	9
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	19
5. ძირითადი საშუალებები.....	21
6. აქტივი გამოყენების უფლებით.....	22
7. ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	22
8. დებიტორული დავალიანება	23
9. გადახდილი ავანსები	23
10. ფული და ფულის ეკვივალენტები, შეზღუდული ფულადი სახსრები	23
11. სააქციო კაპიტალი.....	24
12. საიჯარო ვალდებულება	24
13. დარიცხული ვალდებულებები.....	25
14. საკომისიო შემოსავალი	25
15. საპროცენტო და სხვა შემოსავალი.....	25
16. საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება	26
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	26
18. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	26
19. პირობითი ვალდებულებები	28
20. ფინანსური რისკების მართვა.....	28
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საქციო საზოგადოება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ აქციონერსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

28 მარტი, 2022

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თეი“ (SARAS-F-550338)

28 მარტი, 2022

თბილისი, საქართველო



Closer to you

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,427	16,088
აქტივი გამოყენების უფლებით	6	28,424	56,850
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	7	227,503	847,231
სულ გრძელვადიანი აქტივები		266,354	920,169
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	8	80,459	77,284
გადახდილი ავანსები	9	7,347	38,335
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	7	796,300	229,614
შეზღუდული ფულადი სახსრები	10	930,000	875,336
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	452,322	254,325
სულ მიმდინარე აქტივები		2,266,428	1,474,894
სულ აქტივები		2,532,782	2,395,063
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	630,000	630,000
გაუნაწილებელი მოგება		1,822,453	1,646,523
სულ კაპიტალი		2,452,453	2,276,523
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	2,816	37,566
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,816	37,566
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ღირებულება	12	32,698	32,537
დარიცხული ვალდებულებები	13	44,815	48,437
სულ მიმდინარე ვალდებულებები		77,513	80,974
სულ ვალდებულებები		80,329	118,540
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,532,782	2,395,063

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.

ვახტანგ აროშიძე
 დირექტორი

ანა გოგუაძე
 ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,427	16,088
აქტივი გამოყენების უფლებით	6	28,424	56,850
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	7	227,503	847,231
სულ გრძელვადიანი აქტივები		266,354	920,169
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	8	80,459	77,284
გადახდილი ავანსები	9	7,347	38,335
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	7	796,300	229,614
შეზღუდული ფულადი სახსრები	10	930,000	875,336
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	452,322	254,325
სულ მიმდინარე აქტივები		2,266,428	1,474,894
სულ აქტივები		2,532,782	2,395,063
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	630,000	630,000
გაუნაწილებელი მოგება		1,822,453	1,646,523
სულ კაპიტალი		2,452,453	2,276,523
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	2,816	37,566
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,816	37,566
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ღირებულება	12	32,698	32,537
დარიცხული ვალდებულებები	13	44,815	48,437
სულ მიმდინარე ვალდებულებები		77,513	80,974
სულ ვალდებულებები		80,329	118,540
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,532,782	2,395,063

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.

ვახტანგ აროშიძე
 დირექტორი

ანა გოგუაძე
 ბუღალტერი



8-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 2-3 გვერდებზე.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
საკომისიო შემოსავალი	14	349,529	393,107
საკომისიო ხარჯი		(583)	(295)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		348,946	392,812
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შემცირება/(ზრდა)	7,8	(3,573)	4,463
საპროცენტო და სხვა შემოსავალი	15	171,212	155,303
საპროცენტო ხარჯი		(3,150)	(5,103)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა (ზარალი)/მოგება	16	(67,580)	134,637
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(261,964)	(256,947)
სხვა ხარჯები		(3,125)	(7,299)
მოგება დაბეგრამდე		180,766	417,866
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,836)	-
წლის მოგება		175,930	417,866
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		175,930	417,866
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	11	0.28	0.66

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.

ვახტანგ აროშიძე
 დირექტორი

ანა გოგუაძე
 ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
საკომისიო შემოსავალი	14	349,529	393,107
საკომისიო ხარჯი		(583)	(295)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		348,946	392,812
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შემცირება/(ზრდა)	7,8	(3,573)	4,463
საპროცენტო და სხვა შემოსავალი	15	171,212	155,303
საპროცენტო ხარჯი		(3,150)	(5,103)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა (ზარალი)/მოგება	16	(67,580)	134,637
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(261,964)	(256,947)
სხვა ხარჯები		(3,125)	(7,299)
მოგება დაბეგრამდე		180,766	417,866
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,836)	-
წლის მოგება		175,930	417,866
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		175,930	417,866
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	11	0.28	0.66

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.

ვახტანგ აროშიძე
 დირექტორი

ანა გოგუაძე
 ბუღალტერი



სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 11)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	630,000	1,228,657	1,858,657
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	417,866	417,866
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	630,000	1,646,523	2,276,523
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	175,930	175,930
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	630,000	1,822,453	2,452,453

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.


ვახტანგ არომიძე
 დირექტორი


ანა გოგუაძე
 ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საქციო კაპიტალი (შენიშვნა 11)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	630,000	1,228,657	1,858,657
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	417,866	417,866
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	630,000	1,646,523	2,276,523
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	175,930	175,930
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	630,000	1,822,453	2,452,453

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.


 ვახტანგ-გოგუაძე
 დირექტორი


 ანა გოგუაძე
 ბუღალტერი



8-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 2-3 გვერდებზე.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე :		180,766	417,866
კორექტირებები :			
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	34,087	34,214
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება	16	67,580	(134,637)
საპროცენტო შემოსავალი	15	(168,212)	(150,310)
საპროცენტო ხარჯი	12	3,150	5,103
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შემცირება/(ზრდა)	7; 8	3,573	(4,463)
სხვა შემოსავალი	12	-	(4,563)
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში :			
დებიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)		1,668	15,480
გადახდილი ავანსის შემცირება		30,991	32,205
კრედიტორული დავალიანების შემცირება		(3,858)	(987)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები პროცენტამდე		149,745	209,908
მიღებული პროცენტები		161,897	135,912
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,836)	-
გადახდილი პროცენტები		(3,150)	(5,103)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		303,656	340,717
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(13,728)
ფინანსური აქტივების ზრდა ამორტიზირებული ღირებულებით		(9,462)	(52,171)
შეზღუდული ფულადი სახსრების ცვლილება	10	(54,664)	(174,201)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(64,126)	(240,100)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების გადახდები	12	(32,134)	(21,510)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(32,134)	(21,510)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	10	254,325	173,545
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		207,396	79,107
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(9,399)	1,673
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	10	452,322	254,325

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.

ვახტანგ აროშიძე
 დირექტორი

ანა გოგუაძე
 ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგრამდე :		180,766	417,866
კორექტირებები :			
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	34,087	34,214
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება	16	67,580	(134,637)
საპროცენტო შემოსავალი	15	(168,212)	(150,310)
საპროცენტო ხარჯი	12	3,150	5,103
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შემცირება/(ზრდა)	7; 8	3,573	(4,463)
სხვა შემოსავალი	12	-	(4,563)
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში :			
დებიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)		1,668	15,480
გადახდილი ავანსის შემცირება		30,991	32,205
კრედიტორული დავალიანების შემცირება		(3,858)	(987)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები პროცენტამდე		149,745	209,908
მიღებული პროცენტები		161,897	135,912
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,836)	-
გადახდილი პროცენტები		(3,150)	(5,103)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		303,656	340,717
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(13,728)
ფინანსური აქტივების ზრდა ამორტიზირებული ღირებულებით		(9,462)	(52,171)
შეზღუდული ფულადი სახსრების ცვლილება	10	(54,664)	(174,201)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(64,126)	(240,100)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების გადახდები	12	(32,134)	(21,510)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(32,134)	(21,510)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	10	254,325	173,545
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		207,396	79,107
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(9,399)	1,673
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	10	452,322	254,325

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.

ვახტანგ აროშიძე
 დირექტორი

ანა გოგუაძე
 ბუღალტერი



8-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 2-3 გვერდებზე.

1. ძირითადი საქმიანობა

სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი დაარსდა 2006 წელს და იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. 2007 წლის 1 თებერვალს მოხდა სამი რეგისტრატორის: შპს „კომპანია-ცენტრის“ (ქ. თბილისი 1996 წ.), შპს „ICT დელამენის“ (ქ. თბილისი 1999 წ.) და შპს „რესტრ-ცენტრის“ (ქ. ბათუმი 1999 წ.) გაერთიანება და შემდგომში შერწყმა კომპანიასთან. კომპანია 2015 წლის 10 აგვისტოდან წარმოადგენს სს „ბიჯი ფაინანშალი“-ს შვილობილ კომპანიას, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია.

კომპანია საქმიანობას ეწევა #70006 (სახელმწიფო რეგისტრაციის #2/4 –1984) ლიცენზიით, რომელიც 2000 წლის 26 იანვარს გაიცა შპს „ICT დელამენის“-თვის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ, (2007 წლის 1 თებერვალს განხორციელებული შერწყმის შედეგად ლიცენზიის პირობები გადავიდა კომპანიაზე). კომპანია არის სააქციო საზოგადოება, დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ის დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 205156374.

ზემოთ აღნიშნული ლიცენზიის საფუძველზე, კომპანია სააქციო საზოგადოებებს (ემიტენტებს) სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს როგორც სათაო ოფისში, ასევე რეგიონებში, კომპანიის წარმომადგენლების მიერ უშუალოდ ემიტენტებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას. კომპანია ახდენს ფასიანი ქაღალდების რეესტრების დაცულ წარმოებას, მონაცემთა ბაზების დაარქივებას და შენახვას. ასევე, კლიენტის მოთხოვნით, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, კრებაზე დასწრებასა და ხმების დათვლას, კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფასიანი ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზებისა და სავალდებულო მიყიდვის პროცედურებში მონაწილეობას.

იურიდიული მისამართი და ბიზნესის წარმოების ადგილი: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის №74ა / მოსაშვილის №11.

კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობები ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო ავლენს ფორმირებადი ბაზრის ზოგიერთ მახასიათებელს, მათ შორის შედარებით მაღალ ინფლაციას და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდად დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და სავალუტო ზომებზე, საგადასახადო, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია, წინასწარ განჭვრიტოს ყველა განვითარება, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად რა შედეგები მოჰყვება მას, ან მოჰყვება თუ არა, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის რწმენით, იგი ყველა საჭირო ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და განვითარებისთვის ხელშესაწყობად.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომი „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ემყარება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის მოგებამ შეადგინა 176 ათასი ლარი 2021 წლის მდგომარეობით (2020 წელი - 418 ათასი ლარი), კომპანიის მიმდინარე აქტივები ვალდებულებებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება 2,189 ათასი ლარით (1,394 ათასი ლარით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია. ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის საქმიანობის შეჩერება.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესოდ და

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტურად გამოყენებით ან მისი ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის მიყიდვით, რომელიც გამოიყენებს ამ აქტივს ყველაზე ეფექტურად და საუკეთესოდ.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

რეალური ღირებულება იყოფა რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა რეალური ღირებულებით შეფასების პროცესში, აღნიშნული კატეგორიებია:

- დონე 1 – კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2 – მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია ყველა იმ ინფორმაციაზე დაკვირვება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალურ ღირებულებაზე;
- დონე 3 – შეფასების მეთოდი, რომლის ყველაზე ქვედა დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შესაფასებლად, არ არის დაკვირვებადი.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“).

ტრანზაქციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში-„კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება“.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსი იყო 1 აშშ დოლარი ("USD") = 3.0976 ლარი, 1 ევრო ("EUR") = 3.504 ლარი (2020 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი ("USD") = 3.2766 ლარი, 1 ევრო ("EUR") = 4.0233 ლარი). დღესდღეობით, ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

ძირითადი საშუალებები. თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20% წრფივი
ელექტრო და სხვა აღჭურვილობა	20% წრფივი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შემენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე :

სასარგებლო მომსახურების ვადა

პროგრამული უზრუნველყოფა	5 წელი
-------------------------	--------

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს გაუფასურების ინდიკატორი. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც მზად არ არის გამოსაყენებლად, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივების საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული მის გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირეს დონეზე, რისთვისაც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი სახსრების შემოძინებები (ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეული) არა ფინანსური აქტივების წინა პერიოდში განხორციელებული

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურებები (გარდა გუდვილისა) მოწმდება შესაძლო ამორტიზებაზე თითოეული სააღრიცხვო პერიოდისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, აფასებს გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი აღრიცხვა

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღრიცხვა

შემდგომი აღრიცხვის მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღრიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღრიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასების მიზნებისთვის იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" ("ECL") მოდელს. გაუფასურება ფასდება 12 თვიანი ECL მეთოდის გამოყენებით, თუ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გაუფასურების რეზერვის დათვლა ეფუძნება ინსტრუმენტის მთლიანი სასიცოცხლო ვადის მანძილზე ECL მეთოდს.

თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან ამკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, კომპანია იყენებს საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებულ მიდგომას, რაც გულისხმობს რეზერვის შექმნას აქტივების მთლიანი სასიცოცხლო ვადის მანძილზე. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ფინანსურ იჯარას, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით

და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება რეალური ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ეკვივალენტებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებულ გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე. დივიდენდების განაწილებიდან წარმოშობილი მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილი უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადახდებზე, რომლებიც დაკავშირებულია არა-ეკონომიკურ საქმიანობასთან აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დივიდენდების მოგების გადასახადის შედეგები (თუკი არის), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგებების განაწილებას მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

- იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
- მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით ორგანიზაციამ აღიარა თუ არა წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბას 28-ის მიხედვით ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში – ინვესტიციის ობიექტების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით მოხდება თითოეული ინვესტიციის მიხედვით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

- ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არის ახალი სარისკო ინვესტიციის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებით თითოეული ინვესტიციის მიხედვით, რათა შეფასდეს მისი ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- თუ რომელიმე კომპანიას, რომელიც არ არის თვითონ საინვესტიციო კომპანია, აქვს წილი რომელიმე ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, ამ კომპანიას შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს რეალური ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიერ შვილობილ კომპანიებში საინვესტიციო ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკე თითოეული საინვესტიციო ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოსთვის ამ ორი თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დადგება:
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო თავდაპირველად აღიარებულია;
 - ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდება საინვესტიციო კომპანია; და
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

კომპანიის ემიტენტებისთვის მომსახურების გაწევა, სააბონენტო და საკომისიო, რომელზეც კომპანიას ფიქსირებული და სხვა ტარიფები აქვს დაწესებული.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა და შემოსავლის ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე, სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღრიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვის მიყენებას ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია ჯგუფის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 8-სა და 9-ში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება/ ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

თუმცა ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ელექტრო მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2020	9,902	41,102	13,702	1,945	66,651
შეძენა	-	13,728	-	-	13,728
გაყიდვა	-	-	-	-	-
ჩამოწერა	(1,385)	(24,771)	(1,228)	-	(27,384)
31 დეკემბერი 2020 წელი	8,517	30,059	12,474	1,945	52,995
შეძენა	-	-	-	-	-
გაყიდვა	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	(742)	(200)	-	(942)
31 დეკემბერი 2021 წელი	8,517	29,317	12,274	1,945	52,053
ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2020	7,212	39,238	10,108	1,945	58,503
ცვეთა წლის მანძილზე	1,161	3,259	1,368	-	5,788
ჩამოწერილი ქონების ცვეთა	(1,385)	(24,771)	(1,228)	-	(27,384)
31 დეკემბერი 2020 წელი	6,988	17,726	10,248	1,945	36,907
ცვეთა წლის მანძილზე	1,008	3,289	1,364	-	5,661
ჩამოწერილი ქონების ცვეთა	-	(742)	(200)	-	(942)
31 დეკემბერი 2021 წელი	7,996	20,273	11,412	1,945	41,626
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2020 წელი	1,529	12,333	2,226	-	16,088
31 დეკემბერი 2021 წელი	521	9,044	862	-	10,427

კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები, რომელთა ჯამური ღირებულება 23,902 ლარია (2020: 20,614 ლარი).

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

6. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი
1 იანვარი 2020	-
შემოსვლა	85,276
გასვლა	-
31 დეკემბერი 2020	85,276
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2021	85,276
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი 2020	-
ცვეთის ხარჯი	28,426
31 დეკემბერი 2020	28,426
ცვეთის ხარჯი	28,426
31 დეკემბერი 2021	56,852
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2020	56,850
31 დეკემბერი 2021	28,424

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი. საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფიქსირებული გადახდები, წლის განმავლობაში 10,908 დოლარის ეკვივალენტით ლარში. ხელშეკრულება მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საიჯარო პერიოდი, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, 1 წელია.

7. ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებე ლი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქართველოს უძრავი ქონება"	აშშ დოლარი	110,000	ოქტომბერი 2022	7.5%	340,736	360,426
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	150,000	აგვისტო 2022	7.50%	464,640	491,490
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	40,000	ივნისი 2021	6.50%	-	131,064
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	31,000	აგვისტო 2021	7.50%	-	101,575
საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	74,000	ივლისი 2023	5.75%	229,222	-
სულ გაუფასურების რეზერვამდე					1,034,598	1,084,555
გაუფასურების ანარიცხი					(10,795)	(7,710)
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით					1,023,803	1,076,845

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

7. ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრის მდგომარეობით	7,710	11,706
გაუფასურების აღდგენა წლის განმავლობაში	(3,280)	(4,958)
გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	6,365	962
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,795	7,710

8. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	386,914	433,427
მოთხოვნები დეპოზიტებიდან	37,060	33,652
მოთხოვნები ფინანსური აქტივებიდან ამორტიზირებული ღირებულებით	23,861	21,920
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(367,376)	(411,715)
სულ დებიტორული დავალიანება	80,459	77,284

დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრის მდგომარეობით	411,715	453,293
გაუფასურების აღდგენა წლის განმავლობაში	(22,467)	(22,162)
გაუფასურებული დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	(44,827)	(41,111)
გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	22,955	21,695
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	367,376	411,715

9. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,899	34,323
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,448	4,012
სულ გადახდილი ავანსები	7,347	38,335

10. ფული და ფულის ეკვივალენტები, შეზღუდული ფულადი სახსრები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საბანკო დეპოზიტი	190,000	170,000
ფული საბანკო ანგარიშზე	262,322	84,325
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	452,322	254,325

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები, შეზღუდული ფულადი სახსრები (გაგრძელება)

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო.

კომპანია საბანკო ანგარიშზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე ფლობს 930,000 ლარის (2020: 875,336 ლარი) ერთწლიან გამოუთხოვად ვადიან ანაბარებს. ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს ერიცხება 8,7 – 10,65 % სარგებელი, ხოლო უცხოურ ვალუტაში (დოლარში) განთავსებულ დეპოზიტებს კი - 0.7%.

11. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 630,000 ცალი 1 ლარის ღირებულების აქციებისგან.

შემოსავალი ერთ აქციაზე

მრიცხველი : კაპიტალით მიღებული შემოსავალი	2021	2020
წლის მოგება	175,930	417,866
სულ წლის მოგება	175,930	417,866

მნიშვნელი : აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	630,000	630,000
შემოსავალი ერთ აქციაზე		
საბაზისო და განზავებული	0.28	0.66

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა მიუთითებს მიმოქცევაში არსებულ აქციებზე პერიოდის განმავლობაში.

12. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	32,698	32,537
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	2,816	37,566
სულ საიჯარო ვალდებულება	35,514	70,103

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
თავდაპირველი აღიარებისას	70,103	85,276
საპროცენტო ხარჯი	3,150	5,103
გადახდები წლის განმავლობაში	(35,284)	(26,613)
საიჯარო ქირის დათმობა	-	(4,563)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ეფექტი	(2,455)	10,900
ნაშთი წლის ბოლოს	35,514	70,103

31 დეკემბერი 2021	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი
საიჯარო გადახდები	33,789	2,816
ფინანსური ხარჯი	(1,090)	-
დღევანდელი ღირებულება	32,698	2,816

13. დარიცხული ვალდებულებები

დარიცხული ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
გადასახდელი ხელფასი	30,000	30,400
მიღებული ავანსი	8,222	6,822
სხვა ვალდებულებები	5,666	10,826
სავაჭრო ვალდებულებები	927	389
სულ დარიცხული ვალდებულებები	44,815	48,437

14. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საკომისიო შემოსავალი	204,331	250,593
სააბონენტო შემოსავალი	145,198	142,514
სულ საკომისიო შემოსავალი	349,529	393,107

საკომისიო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას, მოთხოვნის თანახმად, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას. სააბონენტო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების მხრიდან გადასახდელ ყოველთვიურ სააბონენტოებს.

15. საპროცენტო და სხვა შემოსავალი

საპროცენტო და სხვა შემოსავალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
შემოსავალი მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებიდან	90,929	78,249
შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	77,283	72,061
სხვა შემოსავალი	3,000	4,993
სულ საპროცენტო და სხვა შემოსავალი	171,212	155,303

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

16. საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	93,267	300,430
დებიტორული დავალიანება	1,360	1,362
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით მოგება ან ზარალში	75,531	270,915
ფული და ფულის ექვივალენტები	11,173	4,848
შეზღუდული ფული	-	23,305
საიჯარო ვალდებულება	5,203	-
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	160,847	165,793
დებიტორული დავალიანება	1,591	2,684
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით მოგება ან ზარალში	135,701	136,446
ფული და ფულის ექვივალენტები	20,572	3,175
შეზღუდული ფული	-	11,891
კრედიტორული დავალიანება	528	697
საიჯარო ვალდებულება	2,455	10,900
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება	(67,580)	134,637

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	165,349	151,018
ცვეთა და ამორტიზაცია	34,087	34,214
პრემიის ხარჯი	32,000	32,000
საკონსულტაციო ხარჯი	16,584	17,215
კომუნალური გადასახადების ხარჯი	5,376	3,861
კომუნიკაციის ხარჯი	3,832	6,953
დაცვის ხარჯი	1,620	1,620
იჯარის ხარჯი	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	3,116	10,066
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	261,964	256,947

18. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას აკონტროლებს სს „ბიჯი ფაინანშალი“, რომელიც ფლობს კომპანიის ჩვეულებრივი აქციების 100%-ს. სს „ბიჯი ფაინანშალი“ სს „საქართველოს ბანკთან“ ერთად შედის „ბენკ ოფ ჯორჯია გრუპ“ PLC ჯგუფში. სს „ბიჯი ფაინანშალი“ ამზადებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, სადაც ხდება სს „ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“-ს ფინანსური მაჩვენებლების კონსოლიდირება.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

18. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

განხორციელებული ოპერაციები	2021	2020
საკომისიო შემოსავალი	12,550	11,584
საპროცენტო შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	50,711	46,493
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	90,929	78,249
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	709	406
საბალანსო ნაშთები		
საბალანსო ნაშთები „საქართველოს ბანკთან“:	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	452,322	254,325
შეზღუდული ფულადი სახსრები	930,000	875,336
დებიტორული დავალიანება	37,060	33,652
საბალანსო ნაშთები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან :		
დებიტორული დავალიანება	388	15,683
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	705,462	718,080
დარიცხული ვალდებულებები	55	30

სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის საწარმოებისთვის კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფები (გარდა სააბონენტო ტარიფებისა), ისევე როგორც სხვა ერთ ბიზნეს-ჯგუფის წევრი საწარმოებისთვის, განსაზღვრულია 25%-იანი დისკონტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	2021	2020
ხელფასი, პრემია და სხვა სარგებელი	53,580	52,068

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ სიახლეებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირად არ არის ნათელი, ან არის წინააღმდეგობრივი და ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ ერთმანეთისგან განსხვავებულ განმარტებებს. გადასახადები ექვემდებარება განხილვას და გამოკვლევას მთელი რიგი სამთავრობო ორგანოების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება, დააწესონ მკაცრი ჯარიმები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო გადასახადები.

საგადასახდო წელი ღია რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვისთვის მომდევნო სამი, ან ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მეტი კალენდარული წლის განმავლობაში. ეს გარემოებები ქმნიან საგადასახდო რისკს საქართველოში, რაც არსებითად მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში.

კომპანიის დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციები გადაფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღინუსხება მოგებიდან გადასახადის პოზიციაზე, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, როგორც მეტად სავარაუდო რომ შედეგად არ მოიტანოს დამატებითი გადასახადები, თუ პოზიციები გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოს მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც მოქმედია ან არსებითად მოქმედია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. პირგასამტეხლოს, საპროცენტო და გადასახადების ვალდებულებები, გარდა მოგებიდან გადასახადისა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ ხარჯების მყარი შეფასების საფუძველზე.

20. ფინანსური რისკების მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რისკის მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს, რომლებიც საჭიროა ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არსებობს რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტი	452,322	254,325
შეზღუდული ფული	930,000	875,336
დებიტორული დავალიანება	80,459	77,284
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	1,023,803	1,076,845
სულ ფინანსური აქტივები	2,486,584	2,283,790
ფინანსური იჯარა	35,514	70,103
სავაჭრო ვალდებულებები	36,593	41,615
სულ ფინანსური ვალდებულებები	72,107	111,718

კომპანიის საბანკო დეპოზიტები ინახება მხოლოდ ერთ ბანკში.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2021	2020
საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები	452,322	254,325
შეზღუდული ფულადი სახსრები	930,000	875,336
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	1,023,803	1,076,845
დებიტორული დავალიანება	80,459	77,284

ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსი მოიცავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი ფინანსური აქტივებისა ამორტიზირებული ღირებულებით და დებიტორული დავალიანებისთვის. დებიტორული დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

რაც შეეხება ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების (სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთ წლამდე და ერთი წლიდან სამ წლამდე პერიოდი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი ერთი წელი.

ლიკვიდურობის რისკი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	452,322	-	452,322
შეზღუდული ფული	930,000	-	930,000
დარიცხული დებიტორული დავალიანება	80,459	-	80,459
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	796,300	227,503	1,023,803
სულ ფინანსური აქტივები	2,259,081	227,503	2,486,584
ფინანსური ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა	32,698	2,816	35,514
სავაჭრო ვალდებულებები	36,593	-	36,593
სულ ფინანსური ვალდებულებები	69,291	2,816	72,107
ლიკვიდურობის პოზიცია	2,189,790	224,687	2,414,477

ლიკვიდურობის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	254,325	-	254,325
შეზღუდული ფული	875,336	-	875,336
დარიცხული დებიტორული დავალიანება	77,284	-	77,284
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	229,614	847,231	1,076,845
სულ ფინანსური აქტივები	1,436,559	847,231	2,283,790
ფინანსური ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა	32,537	37,566	70,103
სავაჭრო ვალდებულებები	41,615	-	41,615
სულ ფინანსური ვალდებულებები	74,152	37,566	111,718
ლიკვიდურობის პოზიცია	1,362,407	809,665	2,172,072

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს კომპანიის მგრძობელობას სავალუტო რისკის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

ფინანსური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებულია ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	ფული და ფულის ეკვივალენტები	შეზღუდული ფულადი სახსრები	სულ
ლარი	80,459	-	279,770	930,000	1,290,229
აშშ დოლარი	-	1,023,803	172,552	-	1,196,355
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	80,459	1,023,803	452,322	930,000	2,486,584

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებულია ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	ფული და ფულის ეკვივალენტები	შეზღუდული ფულადი სახსრები	სულ
ლარი	77,284	-	254,325	760,000	1,091,609
აშშ დოლარი	-	1,076,845	-	115,336	1,192,181
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,284	1,076,845	254,325	875,336	2,283,790

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	ფინანსური იჯარა	სულ
ლარი	30,927	-	30,927
აშშ დოლარი	5,666	35,514	41,180
სულ	36,593	35,514	72,107

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	ფინანსური იჯარა	სულ
ლარი	30,789	-	37,611
აშშ დოლარი	10,826	70,103	80,929
სულ	41,615	70,103	118,540

ეს ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	2021	2020
USD გამყარება 30%	346,553	333,376
USD გაუფასურება 30%	(346,553)	(333,376)

რისკი გაანგარიშებულია მხოლოდ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ბალანსებისთვის.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 28 მარტს.

2022 წლის 5 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 14-1კ განკარგულების საფუძველზე კომპანიას დაეკისრა ფულადი ჯარიმა 7,000 ლარის ოდენობით.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.